გაზ. "ახალი თაობა". 7-13 მარტი.2004. №65 (2999)

სოლოლაკში "პოეზიის სასახლე" აშენდა

შორენა გონგლაძე

იმ დროს, როდესაც საქართველოში რესტორნებისა და მაღალი კლასის სასტუმროების ბუმია, ქართველი და უცხოელი ბიზნესმენების გონება სწორედ ამ კუთხით არის მომართული. ქართული კულტურის ისტორიაში სწორედ რომ საუკუნის მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს სოლოლაკში აშენებული "პოეზიის სასახლე", რომელსაც თამამად შეიძლება ვუწოდოთ XXI საუკუნის არქიტექტურის შედევრი. "არტისტული ყვავილები" ქართული ფოლკლორისთვის დამახასიათებელი პოლიფონიურობით და პლასტიკით განახლებული საქართველოს სიმბოლოდ წარმოსდგა" – აი, ასე დაახასიათეს ეს შენობა გამოფენაზე მიწვეულმა სტუმრებმა. "პოეზიის სასახლე" დაჯილდოვდა არქიტექტორთა კავშირების საერთაშორისო ასოციაციის კონკურსის პირველი პრემიით, როგორც წლის საუკეთესო ობიექტი. "პოეზიის სასახლის" ავტორია არქიტექტორი შოთა ბოსტანაშვილი, ხოლო შენობის დამკვეთი არის თეიმურაზ ქარჩავა, რომელიც ამჟამად მოსკოვში ავიაკომპანია "ეი-ჯი-თი"-ს პრეზიდენტია. შენობის დასრულება 2006 წლისთვისაა ნავარაუდევი. მისი ფართობია 32მ 60მ-ზე. მთლიანი ფართობი კი 4000კვ.მ-ია. მშენებლობაზე 100-მდე მუშაა დასაქმებული და ერთი კვ.მეტრის გაკეთება საშუალოდ 100 დოლარი ჯდება.

შოთა ბოსტანაშვილი:

– ეს შენობა, უპირველეს ყოვლისა, გახლავთ პოეტური დიალოგი გარემოსთან, ეს შენობა იქნება წილნაყარი პოეზიასთან, ქართულ მუსიკასთან, ფილოსოფიასთან და ყველაფერ იმასთან, რასაც სულიერება ჰქვია. სწორედ ამიტომარის წარმოდგენილი შენობაში სამი კოშკი. იდეური თვალსაზრისით ერთი მათგანი ეძღვნება აიეტის ეპოქას, შემდეგი არის "ვეფხისტყაოსნის" ეპოქა და მესამე არის თანამედროვეობა. ეს შენობა ქართული სულიერების სამი ათასი წლის სინთეზს წარმოადგენს. შენობა არის სამსართულიანი, პირველ სართულზე განთავსდება ვესტიბიულის

ჯგუფის სათავსოები, , მეორე სართულზე სამზარეულო ბლოკი და ბარი, მესამე სართული კი ეთმობა საპრეზენტაციო დარბაზს და სამ მცირე დარბაზს. მშენებლობა დაიწყო 1998 წელს. მომდევნო სამი წლის განმავლობაში ხელით იძერწებოდა ჩემს მიერ და ვფიქრობ, რომსაქართველო იმსახურებს იმას, რომ ჰქონდეს ასეთი მშვენიერი ნაგებობა, რომელიც მომავალში იქნება კულტურული ცენტრი.